		სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		
		პროცენტი		
		სუბსიდიები		
		გრანტები		
		სოციალური უზრუნველყოფა	68,6	65,0
		სხვა ხარჯები		
7104		არაფინანსური აქტივების ზრდა		
		ფინანსური აქტივების ზრდა		
		ვალდებულებების კლება		
	08 07	ერთჯერადი დახმარება	65,0	60,0
		მომუშავეთა რიცხოვნობა		
7109		ხარჯები	65,0	60,0
		შრომის ანაზღაურება		
		საქონელი და მომსახურება	0,0	0,0
		შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		
		მივლინებები		
		ოფისის ხარჯები		
		წარმომადგენლობითი ხარჯები		
		კვების ხარჯები		
		სამედიცინო ხარჯები		
		რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები		
		ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები		
		სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		
		პროცენტი		
		სუბსიდიები		
		გრანტები		
		სოციალური უზრუნველყოფა	65,0	60,0
		სხვა ხარჯები		
7109		არაფინანსური აქტივების ზრდა		
		ფინანსური აქტივების ზრდა		
		ვალდებულებების კლება		
	08 08	ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	88,0	68,0
		მომუშავეთა რიცხოვნობა		
7076		ხარჯები	88,0	68,0
		შრომის ანაზღაურება		
		საქონელი და მომსახურება	0,0	0,0
		შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		
		მივლინებები		
		ოფისის ხარჯები		

		წარმომადგენლობითი ხარჯები		
		კვების ხარჯები		
		სამედიცინო ხარჯები		
		რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები		
		ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები		
		სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		
		პროცენტი		
		სუბსიდიები		
		გრანტები		
		სოციალური უზრუნველყოფა	88,0	68,0
		სხვა ხარჯები		
7076		არაფინანსური აქტივების ზრდა		
		ფინანსური აქტივების ზრდა		
		ვალდებულებების კლება		

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ჭოხონელიძე

ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2011 წლის ბეგმა	2012 წლის ბეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 810,0	2 211,8
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 671,7	1 950,4
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 576,8	1 850,6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	94,9	99,8
70113	საგარეო ურთიერთობები		
7012	საგარეო ეკონომიკური დახმარება	0,0	0,0
70121	ეკონომიკური დახმარება განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს		
70122	საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული ეკონომიკური დახმარება		
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0,0	0,0
70131	საერთო საკადრო მომსახურება		
70132	საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება		
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	0,0	0,0
7014	ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები		
7015	გამოყენებითი კვლევები საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში		
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	126,3	248,5
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის		
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	12,0	12,9
702	თავდაცვა	94,7	97,4
7021	შეიარაღებული ძალები	94,7	97,4
7022	სამოქალაქო თავდაცვა	0,0	0,0
7023	საგარეო სამხედრო დახმარება		
7024	გამოყენებითი კვლევები თავდაცვის სფეროში		
7025	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	0,0	0,0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	344,2	471,3
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	65,5	168,6
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	278,7	302,7
7033	სასამართლოები და პროკურატურა		
7034	სასჯელაღსრულების დაწესებულებები		
7035	გამოყენებითი კვლევები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში		
7036	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში		
704	ეკონომიკური საქმიანობა	1 355,4	299,8

7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	0,0	0,0
70411	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა		
70412	შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა		
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	613,5	171,8
70421	სოფლის მეურნეობა	613,5	171,8
70422	სატყეო მეურნეობა		
70423	მეთევზეობა და მონადირეობა		
7043	სათბობი და ენერგეტიკა	0,0	0,0
70431	ნახშირი და სხვა სახის მყარი მინერალური საწვავი		
70432	ნავთობი და ბუნებრივი აირი		
70433	ბირთვული საწვავი		
70434	სხვა სახის საწვავი		
70435	ელექტროენერგეტიკა		
70436	არაელექტრული (მზის, ქარის, წყლის) ენერჯია		
7044	სამთომომპოვებელი და გადაამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	0,0	0,0
70441	მინერალური რესურსების მოპოვება, მინერალური საწვავის გარდა		
70442	გადაამუშავებელი მრეწველობა		
70443	მშენებლობა		
7045	ტრანსპორტი	741,9	128,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	741,9	128,0
70452	საზღვაო ტრანსპორტი		
70453	სარკინიგზო ტრანსპორტი		
70454	საჰაერო ტრანსპორტი		
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0,0	0,0
7046	კავშირგაბმულობა		
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	0,0	0,0
70471	ვაჭრობა, მარაგების შექმნა, შენახვა და დასაწყობება		
70472	სასტუმროები და რესტორნები		
70473	ტურიზმი		
70474	მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები		
7048	გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში	0,0	0,0
70481	გამოყენებითი კვლევები საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში		
70482	გამოყენებითი კვლევები სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, მეთევზეობასა და მონადირეობაში		
70483	გამოყენებითი კვლევები სათბობსა და ენერგეტიკაში		
70484	გამოყენებითი კვლევები სამთომომპოვებელ და გადაამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში		
70485	გამოყენებითი კვლევები ტრანსპორტის სფეროში		
70486	გამოყენებითი კვლევები კავშირგაბმულობის სფეროში		
70487	გამოყენებითი კვლევები სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში		
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში		
705	გარემოს დაცვა	823,8	691,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	511,7	578,9
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	312,1	112,1
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა		
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა		
7055	გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში		
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში		

706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	618,0	404,2
7061	ბინათმშენებლობა	0,0	0,0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	437,9	305,0
7063	წყალმომარაგება	147,0	99,2
7064	გარე განათება	33,1	0,0
7065	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში		
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში		
707	ჯანმრთელობის დაცვა	129,8	129,9
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები		
70711	ფარმაცევტული პროდუქცია		
70712	სხვა სამედიცინო პროდუქცია		
70713	თერაპიული დანიშნულების მოწყობილობები და აპარატები		
7072	ამბულატორიული მომსახურება	0,0	0,0
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება		
70722	სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება		
70723	სტომატოლოგიური მომსახურება		
70724	საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება		
7073	საავადმყოფოების მომსახურება	0,0	0,0
70731	ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება		
70732	სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება		
70733	სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება		
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება		
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	129,8	129,9
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში		
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0,0	0,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	912,5	870,2
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	359,5	343,6
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	494,5	460,0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	40,0	45,5
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	12,5	10,4
7085	გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	6,0	10,7
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში		
709	განათლება	1 195,5	1 169,5
7091	სკოლამდელი აღზრდა	691,3	710,3
7092	ზოგადი განათლება	121,8	45,0
70921	დაწყებითი ზოგადი განათლება		
70922	საბაზო ზოგადი განათლება		
70923	საშუალო ზოგადი განათლება		
7093	პროფესიული განათლება	55,2	96,4
7094	უმაღლესი განათლება	0,0	0,0
70941	უმაღლესი პროფესიული განათლება		
70942	უმაღლესი აკადემიური განათლება		
7095	უმაღლესისშემდგომი განათლება		
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება		
7097	გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში		
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	327,2	317,8
710	სოციალური დაცვა	306,1	372,5

7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	90,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	0,0	90,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა		
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	79,5	84,5
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	5,0	5,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	221,6	193,0
7105	უმუშევართა სოციალური დაცვა		
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა		
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას		
7108	გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში		
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	0,0	0,0
	სულ	7 590,0	6 717,6

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ჭოხონელიძე



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N2

2012 წლის 9 იანვარი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულება“ თანახმად დანართისა.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N24 დადგენილება.
3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ჭოხონელიძე

ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური

1. ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური (შემდგომში - „სამსახური“) წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ახორციელებს გამგეობის საქმიანობის ორგანიზაციულ, ანალიტიკურ, საინფორმაციო, სამართლებრივ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.
2. სამსახურის ძირითადი ფუნქციაა გამგეობის საქმისწარმოების, საკადრო საკითხთა, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, გამგეობის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა ფუნქციებით მინიჭებულ უფლებამოვალეობათა შესრულებისთვის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.
3. სამსახურს გააჩნია ბეჭედი და საკუთარი ბლანკი.
4. სამსახურის საქმიანობა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება ხორციელდება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, გამგეობის დებულება და ეს დებულება. ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირთა) სამართლებრივი აქტები.

თავი II. სამსახურის საქმიანობა

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

- ა) უზრუნველყოს გამგეობაში ერთიანი საქმისწარმოება;
- ბ) უზრუნველყოს გამგეობისა და გამგეობის თანამდებობის პირების სახელზე შემოსული წერილების, განცხადებების და სხვა დოკუმენტაციის აღრიცხვა, სისტემატიზაცია, მათი ანოტირება, სარეკვიზიტო და დოკუმენტური გაფორმება, ადრესატისადმი გადაცემა, კორესპონდენციის გადაგზავნა, საარქივო მასალების ანოტირება და არქივის წარმოება;
- გ) გააფორმოს და აღრიცხოს მიღებულ დოკუმენტებზე გამგეობის თანამდებობის პირთა დავალებები და გადასცეს შემსრულებლებს, გააკონტროლოს კორესპონდენციის განსახილველად მომზადება და მოძრაობა, საკითხის განხილვაზე კანონით დადგენილი ვადების დაცვა;
- დ) გააფორმოს საჯარო მოსამსახურეთა სამუშაოზე მიღების, სამუშაოდან გათავისუფლების, შვებულებაზე გასვლის, სამივლინებლო, საპენსიო და სხვა დოკუმენტები;
- ე) აწარმოოს სამართლებრივი აქტების და სხვა დოკუმენტების აღრიცხვა და შენახვა;
- ვ) უზრუნველყოს გამგებლის თათბირების ოქმების წარმოება და გაფორმება, გამგებლის სამართლებრივი აქტების პროექტების წინასწარი იურიდიული ექპერტიზა; შეადგინოს და გასცეს დასკვნები პროექტებზე;
- ზ) უზრუნველყოს გამგეობის სამსახურების მუშაობის მეთოდური ხელმძღვანელობა;

- თ) საკონსულტაციო-სამართლებრივი დახმარება გაუწიოს გამგეობის სამსახურებსა და ტერიტორიული ორგანოების მოსამსახურეებს;
- ი) წარმოადგინოს გამგეობის ინტერესები სასამართლოში;
- კ) უზრუნველყოს გამგებლის, გამგეობის სამსახურების ურთიერთობა საკრებულოსთან და მუნიციპალიტეტში შემავალ გამგეობის ტერიტორიულ ორგანოებთან;
- ლ) შეისწავლოს და გააანალიზოს მუნიციპალიტეტში შემავალ გამგეობის ტერიტორიულ ორგანოთა მუშაობის საკითხები;
- მ) აწარმოოს გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა დოკუმენტების, პირადი საქმეების გაფორმება და აღრიცხვა;
- ნ) უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და განსახორციელებელი პროექტების წარმოჩენა, მათი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ფორმით მიწოდება;
- ო) უზრუნველყოს საზოგადოების განწყობილებისა და სოციალური მდგომარეობის რეალური სურათის გამოვლენა, საზოგადოებასთან უფრო მჭიდრო და ქმედითი კავშირის დასამყარებლად მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივი ასოციაციების მუშაობაში და სხვა ღონისძიებებში;
- პ) უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ამსახველ მონაცემთა საინფორმაციო ბანკის, ვიდეოთეკის, ფოტოთეკის შექმნა;
- ჟ) განახორციელოს გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
- რ) უზრუნველყოს პრესკონფერენციების, ბრიფინგების და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება;
- ს) შეასრულოს გამგებლის სხვა დავალებები.

თავი III. სამსახურის სტრუქტურა

მუხლი 4. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფები

სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ა) სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება;
- ბ) საორგანიზაციო საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილება.

მუხლი 5. სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება

სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება:

- ა) უზრუნველყოფს გამგებლის, გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების იურიდიულ კონსულტირებას, სამართლებრივი დასკვნების მომზადებას;
- ბ) ამზადებს საკრებულოს თავმჯდომარის და გამგებლის მიერ გამოსაცემი სამართლებრივი აქტების პროექტებს;
- გ) უზრუნველყოფს გამგეობაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების, ადმინისტრაციული გარიგებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების მომზადებას და სხვა იურიდიული შინაარსის დოკუმენტების სამართლებრივ გამართულობას, მათ შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირთა) სამართლებრივ აქტებთან;
- დ) ახდენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირთა) სამართლებრივი აქტების ექსპერტიზას, აკონტროლებს მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, საჭიროების შემთხვევაში ამზადებს წინადადებებს მიღებული აქტის გაუქმების, ან მასში ცვლილების შეტანის შესახებ;
- ე) უზრუნველყოფს გამგეობის კანონიერი ინტერესების დაცვას სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;
- ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. საორგანიზაციო საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილება

საორგანიზაციო საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილება:

- ა) უზრუნველყოფს შემოსული და ადგილზე შექმნილი დოკუმენტების აღრიცხვას, რეგისტრაციას და ინდექსაციას, მათ განაწილებას დანიშნულებისამებრ;
- ბ) უზრუნველყოფს დოკუმენტების შესრულების კონტროლს და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადებას;
- გ) უზრუნველყოფს გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების მოსამსახურეთა სამუშაოზე მიღების, სამუშაოდან გათავისუფლების, შვებულებაზე გასვლის, სამივლინებო, საპენსიო და სხვა დოკუმენტების გაფორმებას;
- დ) უზრუნველყოფს ადმინისტრაციული წარმოების დადგენილი წესებისა და პროცედურების დაცვას;
- ე) უზრუნველყოფს საქმისწარმოებაში ბეჭდების, შტამპების, ბლანკების სათანადო გამოყენებას;
- ვ) უზრუნველყოფს თვითმმართველობის მოხელეთათვის საქმისწარმოების წესის გაცნობას და კონტროლს მათ დაცვაზე;
- ზ) უზრუნველყოფს კადრების აღრიცხვას და გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეების მოწესრიგებას „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;
- თ) უზრუნველყოფს გამგებლის თათბირების მომზადებას და ჩატარებას, მოსაწვევ პირთა გაფრთხილებასა და აღრიცხვას, სხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას;
- ი) უზრუნველყოფს გამგეობის ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, დაწესებულებებთან, საწარმოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან;
- კ) უზრუნველყოფს საარქივო მასალების ანოტირებას და არქივის წარმოებას;
- ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი IV.

სამსახურის მართვა

მუხლი 7. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურის მუშაობას ხელმძღვანელობს, ორგანიზაციას და კოორდინაციას უწევს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.
2. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში გამგებლის დავალებით მის მოვალეობას ასრულებს სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

მუხლი 8. სამსახურის უფროსი

1. სამსახურის უფროსი:

- ა) უძღვება სამსახურის საქმიანობას;
- ბ) გამგებელს თანამდებობაზე დასანიშნად და თანამდებობიდან გასათავისუფლებლად წარუდგენს სამსახურის შესაბამის საჯარო მოსამსახურეთა კანდიდატურებს;
- გ) გამგებელს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
- დ) შეიმუშავებს სამსახურის საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს და მოსამსახურეთა ფუნქციონალურ მოვალეობათა განაწილებას;
- ე) ამზადებს გამგეობის შრომის შინაგანაწესს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- ვ) ხელს უწყობს და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საჯარო მოსამსახურეთა ატესტაციის ჩატარებას;
- ზ) ხელს უწყობს და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად საჯარო კონკურსის მოწყობას და ჩატარებას;

- თ) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის სტრუქტურის, საშტატო რიცხოვნების, მუშაობის ორგანიზაციის, თანამშრომელთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური წახალისების დაკისრების შესახებ;
 - ი) კონტროლს უწევს მოსამსახურეთა მიერ შინაგანაწესის მოთხოვნების შესრულებას;
 - კ) ინახავს და არსებული წესების შესაბამისად იყენებს სამსახურის ბეჭედს და საკანცელარიო შტამპებს;
 - ლ) ამოწმებს ხელმოწერითა და ბეჭდით დოკუმენტების ასლებს;
 - მ) ამოწმებს გამგეობაში მოვლინებული მოქალაქეების სამივლინებო ბარათებს.
2. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

მუხლი 9. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი

1. სამსახურის სტრუქტურულ ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც სამსახურის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.
2. განყოფილების უფროსი:
 - ა) ახორციელებს სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას;
 - ბ) პასუხს აგებს სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;
 - გ) ამ დებულებით განსაზღვრული სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად შეიმუშავებს და სამსახურის უფროსს წარუდგენს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეთა ფუნქციონალურ განაწილებას და სამუშაო გეგმას;
 - დ) განსაზღვრავს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს;
 - ე) სამსახურის უფროსს წარუდგენს წინადადებებს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეთა კუთვნილი შვებულების გამოყენების, მივლინების, წახალისებისა ან/და დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე;
 - ვ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეთა მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას;
 - ზ) განსაზღვრავს სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის ორგანიზაციისა და დაგეგმარების წესს, შეიმუშავებს წინადადებებს სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობის სრულყოფის საკითხებზე;
 - თ) აუცილებელ პირობებს უქმნის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეებს მათი ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისთვის;
 - ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
3. განყოფილების უფროსი ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის წინაშე.
4. განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში გამგებლის დავალებით მის მოვალეობებს ასრულებს სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთ-ერთი მოხელე.

თავი V.

საჯარო მოსამსახურეთა უფლებები და მოვალეობები

მუხლი 10. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა უფლებები

- სამსახურის საჯარო მოსამსახურეებს უფლება აქვთ:
- ა) წარუდგინონ უშუალო ხელმძღვანელს წინადადადებები მათი საქმიანობის თაობაზე;
 - ბ) მიიღონ მათი მუშაობისათვის აუცილებელი კონსულტაციები;
 - გ) ისარგებლონ მათი მუშაობისათვის საჭირო სამართლებრივი აქტებით, საინფორმაციო და სხვა მასალებით;
 - დ) დააყენონ უშუალო ხელმძღვანელის წინაშე საკითხი მოსამსახურეთა ფუნქციონალური მოვალეობის შესრულებისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის შესახებ;

ე) ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურის სხვა უფლებით და გარანტიებით.

მუხლი 11. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა ვალდებულებები

სამსახურის საჯარო მოსამსახურეები ვალდებული არიან:

- ა) შეასრულონ და დაიცვან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით, ამ დებულებით, საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტებითა და გამგებლის დავალებით განსაზღვრული ვალდებულებანი;
- ბ) დროულად და სრულყოფილად შეასრულონ უშუალო და ზემდგომი ხელმძღვანელის დავალებები;
- გ) შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში დაიცვან საიდუმლოების რეჟიმი;
- დ) იმუშაონ თავისი პროფესიონალური მომზადების დონის ასამაღლებლად;
- ე) განუხრელად შეასრულონ დადგენილი შრომის შინაგანაწესის მოთხოვნები;
- ვ) გაუფრთხილდნენ მათ სარგებლობაში არსებულ ტექნიკას, ინვენტარსა და სხვა ქონებას.

მუხლი 12. საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნა, სამსახურებრივი მოვალეობები და თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა

1. სამსახურის საჯარო მოსამსახურეებს სამსახურის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. სამსახურის სამტატო რიცხოვნება განისაზღვრება გამგეობის სამტატო ნუსხით, რომელსაც გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.
3. მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობები განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციებით, რომელსაც გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.
4. საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.

თავი V.

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 13. სამსახურის დებულების დამტკიცება და ცვლილებების შეტანა

1. სამსახურის დებულებას საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.
2. სამსახურის დებულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. სამსახურის რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება) ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ჭოხონელიძე



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N3

2012 წლის 7 თებერვალი

ქ. ხობი

„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 ოქტომბრის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 ოქტომბრის N10 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ N42, 22.10.2010 წ. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.106.016003) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების“:

ა) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

ეს დებულება, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, განსაზღვრავს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის (შემდგომში - „გამგეობა“) სტრუქტურას, გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების (შემდგომში - „მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო“), ასევე გამგეობის თანამდებობის პირების უფლებამოსილებებს და მუშაობის ორგანიზებას.“;

ბ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გამგეობა შედგება გამგეობის ხელმძღვანელი თანამდებობის პირების, გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოებისაგან.“;

გ) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გამგეობის სტრუქტურული ერთეულები, თანამდებობის პირები და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოები მოქმედებენ კანონიერების, საჯაროობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპების დაცვით.“;

დ) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი.“;

ე) მე-7 მუხლის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგებლის მიერ შემუშავებულ გამგეობის, გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების დებულებების პროექტებს“;

ვ) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ა) გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების დებულებების პროექტებს“;

ზ) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“-„ლ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) კოორდინაციასა და ორგანიზებას უწევს გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას და ამ მიზნით:

კ.ა) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, გამგეობის სხვა თანამშრომლებს;

კ.ბ) დებს შრომით ხელშეკრულებებს გამგეობის დამხმარე მოსამსახურეებთან;

კ.გ) ანაწილებს ფუნქციებს გამგეობის მოსამსახურეთა შორის, აძლევს დავალებებს გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს და ისმენს მათ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ;

კ.დ) საკრებულოს სამუშაო გეგმიდან და სხდომების დღის წესრიგიდან გამომდინარე, კოორდინაციას უწევს შესაბამის საკითხთა მომზადებას; საკრებულოს თავმჯდომარეს განსახილველად წარუდგენს გამგეობის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს; კოორდინაციას უწევს საკრებულოს გადაწყვეტილებათა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებას;

კ.ე) იწვევს და ხელმძღვანელობს თათბირებს;

კ.ვ) ხელს აწერს ოფიციალური დოკუმენტებს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მიკუთვნებული აქვს გამგეობას; ახორციელებს გამგეობის წარმომადგენლობას სახელმწიფო ორგანოებთან, ორგანიზაციებთან და მესამე პირებთან ურთიერთობისას;

კ.ზ) „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოსცემს ბრძანებებს;

ლ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.“;

თ) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ი) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გამგებლის მოადგილეები გამგებლის მიერ სამუშაოთა განაწილებისა ან/და შესაბამისი სფეროს მიხედვით კურატორობენ გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების მუშაობას; ხელს უწყობენ გამგებელს მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში.“

კ) მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი - მუნიციპალიტეტის რწმუნებული (შემდგომში - „რწმუნებული“) არის ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირი (საჯარო მოხელე), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

2. რწმუნებული თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში.

3. თვითმმართველი ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში რწმუნებული საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს დებულებით დადგენილი წესით:

ა) წარმართავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას, რომლის უზრუნველსაყოფად:

ა.ა) გამგებელს დასამტკიცებლად წარუდგენს ტერიტორიული ორგანოს სამუშაო გეგმებს;

ა.ბ) ანაწილებს დავალებებს მოხელეებს შორის, უზრუნველყოფს სამუშაო გეგმებით და გამგებლის დავალებებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას; აფასებს ტერიტორიული ორგანოს მოსამსახურეთა ანგარიშებს მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

ა.გ) ამზადებს და გამგებელს წარუდგენს ანგარიშებს ტერიტორიული ორგანოს მიერ სამუშაო გეგმებით და გამგებლის ცალკეული დავალებებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების შესახებ;

ა.დ) უზრუნველყოფს დადგენილი წესით ტერიტორიული ორგანოს საქმისწარმოებას;

ა.ე) უზრუნველყოფს ტერიტორიული ორგანოს მოსამსახურეთა მიერ გამგეობის შინაგანაწესის დაცვას, შრომის დისციპლინას. დადგენილი წესით აფასებს მოხელეების საქმიანობას, გამგებელს

წარუდგენს წინადადებებს მოხელეთა დაწინაურების, წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინარული ზომების გამოყენების შესახებ;

ბ) უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის კავშირს საკრებულოსთან, გამგეობასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან;

გ) ორგანიზებას უწევს, აკონტროლებს და გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში საკრებულოს და გამგებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

დ) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;

ე) უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას, ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისთვის გაცნობას;

ვ) ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის გამოკითხვის და სახალხო განხილვების ჩატარებას;

ზ) მოქალაქეებზე გასცემს საქონლის ადგილწარმოშობის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ცნობებს;

თ) მონაწილეობს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შედგენაში, ამზადებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ; ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისათვის ბიუჯეტის პროექტის გაცნობას და საჯარო განხილვებს; ახორციელებს ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მოსახლეობის შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაციას და გამგებლისთვის მათ მიწოდებას;

ი) აკონტროლებს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების მიმდინარეობას და შესაბამის ინფორმაციას პერიოდულად წარუდგენს გამგებელს და საკრებულოს;

კ) ამზადებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში ინვესტირების მიმართულებების და მიზნობრივი პროგრამების შესახებ, უზრუნველყოფს მათი განხორციელების კოორდინაციას;

ლ) მონაწილეობს საფინანსო ბალანსების, მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობებისა და ადმინისტრაციული ერთეულის სხვა დოკუმენტების მომზადებაში;

მ) შეიმუშავებს წინადადებებს ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და მისი განკარგვის საკითხებზე;

ნ) კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში თვითმმართველი ერთეულის ქონების აღრიცხვას, აკონტროლებს ამ ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებას;

ო) შეიმუშავებს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;

პ) მონაწილეობს ადმინისტრაციული ერთეულის სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვაში, ადმინისტრაციული ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამათა პროექტების მომზადებაში და მათი განხორციელებისა და დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებში;

ჟ) თვალყურს ადევნებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ბუნების, კულტურის და ისტორიული ძეგლების მდგომარეობას და ინფორმაციას წარუდგენს შესაბამის ორგანოებს;

რ) მონაწილეობს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის, სამხედრო-სასწავლო შეკრებების ჩატარების, დაწყებითი სამხედრო სწავლების, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის და სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზების საკითხებში;

ს) ასრულებს „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს;

ტ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. რწმუნებული ვალდებულია პერიოდულად, დადგენილი ფორმით წარუდგინოს გამგებელს ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულში:

ა) მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში მოსახლეობის რაოდენობის შესახებ;

ბ) მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში პირების დაბადებისა და გარდაცვალების და ამ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ;

გ) მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში უძრავ ნივთზე ფიზიკურ პირთა უფლებების რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ;

დ) მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში დასაქმებისა და მიგრაციის შესახებ;

ე) იმ პირთა შესახებ, რომელთა დახმარება ხდება სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან;

ვ) ჩასახლებული ეკომიგრანტებისა და დევნილების რაოდენობის და მათი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო პირობებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ;

ზ) მოსახლეობის ელექტროენერგიით, გაზით, შეშით, სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ;

თ) სოციალური (ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, დასვენების, კეთილმოწყობის და სხვა) და ინფრასტრუქტურის ობიექტების (გზები, ხიდები, სტიქიისაგან დამცავი ნაგებობები და სხვა) მდგომარეობისა და მათ სარეაბილიტაციოდ პირველ რიგში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

5. რწმუნებულს აქვს ბეჭედი, რომლის გამოყენების წესს განსაზღვრავს საკრებულო.

6. რწმუნებული ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

7. მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს გამგებელი.

8. რწმუნებულის მიერ თანამდებობრივ უფლებამოსილებათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას, გამგებლის დავალებით, ასრულებს მუნიციპალიტეტის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს ერთ-ერთი მოხელე.;

ლ) III თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გამგეობის სტრუქტურული ერთეულები და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოები“;

მ) მე-14 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური.“;

ნ) მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ადმინისტრაციული სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: გამგეობის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების მუშაობის კოორდინაციისათვის ხელშეწყობა, გამგეობის საქმისწარმოების, საკადრო საკითხთა, აგრეთვე გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და გამგეობის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა.“;

ო) მე-15 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 7² პუნქტი:

„7². სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი, დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის მომზადება, სასურსათო პროდუქტების გადამამუშავებელი, შესანახი ინფრასტრუქტურის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდაცია და დაინტერესებული უწყებებისთვის მიწოდება.“

პ) მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოები

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოები იქმნება მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში, მართვის ოპტიმიზაციისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით.

2. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოებია:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ქალაქ ხობში;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ახალი ხიბულის თემში (სოფლები: ახალი ხიბულა; გაშფერდი; ზუბი);

გ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ახალსოფლის თემში (სოფლები: ახალსოფელი; განთიადი; გაღმა პირველი ხორგა);

დ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ბიის თემში (სოფლები: ბია; ბია-საშონიო; ზემო ბია);

ე) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო გურიფულის თემში (სოფლები: პირველი გურიფული; მეორე გურიფული);

ვ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ზემო ქვალონის თემში (სოფლები: ზემო ქვალონი; საალანო-საფაჩულიო, სახოჭოლაფო);

ზ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო თორსა-დღვაბის თემში (სოფლები: თორსა; დღვაბა; საბუკიო);

თ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ნოჯიხევის თემში (სოფლები: ნოჯიხევი; დასახლება; ზენი; კუთხენოჯიხევი; ნაფომტუ);

ი) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო პირველი მაისის თემში (სოფლები: ბულიწყუ; საკვიკვინიო; ჭიხუ);

კ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო საჯიჯაოს თემში (სოფლები: ზენი; გაღმა საჯიჯაო; ზუბი; ჯაპიშაქარი);

ლ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ქარიატის თემში (სოფლები: გაღმა ქარიატა; გამოღმა ქარიატა);

მ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ქვემო ქვალონის თემში (სოფლები: გიმოზგონჯილი; ბულიში; გვიმარონი; დურღენა; ჭითაუშქური);

ნ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო შუა ხორგის თემში (სოფლები: გამოღმა შუა ხორგა; გაღმა შუა ხორგა; ყორათი);

ო) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ჭალადიდის თემში (სოფლები: საბაჟო; საქორქიო; საღვამიჩავო; საჭოჭუო);

პ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ხამისკურის თემში (სოფლები: ხამისკური, საკუკავო, საქირიო);

ჟ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო ხეთის თემში (სოფლები: ხეთა, ლარჩვა, ნოჩხონი, ოხვამეკარი, წინაგოლა);

რ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო სოფელ პატარა ფოთში;

ს) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო სოფელ პირველ ხორგაში (სოფელი გამოღმა პირველი ხორგა);

ტ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო სოფელ საგვიჩიოში;

უ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო სოფელ ყულევში;

ფ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო სოფელ შავღელეში.

ქ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო სოფელ ძველ ხიბულაში.

3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების უფლებამოსილებები განისაზღვრება შესაბამისი ტიპური დებულებით, რომლის პროექტს შეიმუშავებს გამგებელი და წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს მიერ დამტკიცების მიზნით.“;

ჟ) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული გამგეობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებითა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს დებულებით, აგრეთვე საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციებით.“

რ) მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. გამგებელი ბრძანებას გამოსცემს გამგებლის მოადგილის (მოადგილეების), გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების, გამგეობის სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშნისა და თანამდებობიდან განთავისუფლების, აგრეთვე „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.“

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ჭოხონელიძე



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N4

2012 წლის 7 თებერვალი

ქ. ხობი

„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N32 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი, 110307110, 21.03.2011 წ. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.106.016025) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ“;

ბ) დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს დებულება“ თანახმად დანართისა.“;

გ) დადგენილების დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს დებულება“;

დ) დადგენილების დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო (შემდგომში - „ტერიტორიული ორგანო“) უზრუნველყოფს საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებების აღსრულებას, საკრებულოსა და გამგეობის ურთიერთობას მოსახლეობასთან, ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას.“;

ე) დადგენილების დანართის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ტერიტორიული ორგანო შედგება ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის - ხობის მუნიციპალიტეტის რწმუნებულისა (შემდგომში - „რწმუნებული“) და ტერიტორიული ორგანოს მოხელეებისგან.“

2. ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას წარმართავს რწმუნებული, რომლის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, გამგეობის დებულებით, ამ დებულებითა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციით.“;

ვ) დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დასახლებულ პუნქტში, სადაც სანოტარო ბიურო არ არის, რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს შემდეგი სანოტარო მოქმედებები:

ა) დაადასტუროს ანდერძი;

- ბ) მიიღოს ზომები სამემკვიდრო ქონების დასაცავად;
- გ) დაამოწმოს დოკუმენტის ასლისა და ამონაწერის სისწორე დედანთან;
- დ) გადასცეს პირის განცხადება და ცნობა სხვა პირს;
- ე) დაადასტუროს მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტი;
- ვ) დაადასტუროს მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტი;
- ზ) შესაძლებლად მიიღოს დოკუმენტები;
- თ) დაადასტუროს მოქალაქის იგივეობა ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან;
- ი) დაამოწმოს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობა.

3. რწმუნებულს ამ მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი სანოტარო მოქმედებების შესრულების უფლებამოსილება ენიჭება მხოლოდ ელექტრონული სანოტარო რეესტრის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სანოტარო მოქმედებაზე, თუ მოქალაქის იგივეობის დადასტურება ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან ხდება შემდგომ მასზე მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემის მიზნით.“;

ზ) დადგენილების დანართის მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. ტერიტორიული ორგანოს მართვა

1. ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას უძღვება რწმუნებული, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. რწმუნებული კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ა) წარმართავს ტერიტორიული ორგანოს საქმიანობას და პასუხისმგებელია ტერიტორიული ორგანოს მიერ მისთვის დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ბ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს ტერიტორიული ორგანოს თანამშრომელთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

გ) ანაწილებს ფუნქციებს მოსამსახურეთა შორის;

დ) ქმნის ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლისთვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად აუცილებელ პირობებს;

ე) წარუდგენს გამგებელს წინადადებებს მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

ვ) გამგებელს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს ტერიტორიული ორგანოს მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

ზ) ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, გამგეობის დებულებით, ამ დებულებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტებით, გამგებლის დავალებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

თ) რწმუნებულის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას გამგებლის დავალებით ასრულებს ტერიტორიული ორგანოს ერთ-ერთი მოხელე.“.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N5

2012 წლის 7 თებერვალი

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის - გამგეობის რწმუნებულის ბეჭდის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 28 ოქტომბრის N134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის - გამგეობის რწმუნებულის ბეჭდის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 28 ოქტომბრის N134 დადგენილებაში (გაზეთი „ახალი სამკუთხედი“ N28, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 01025002035106004253) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის - ხობის მუნიციპალიტეტის რწმუნებულის ბეჭდის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“;

ბ) დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს „ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის - ხობის მუნიციპალიტეტის რწმუნებულის ბეჭდის გამოყენების წესი“ თანახმად დანართისა.“;

გ) დადგენილების დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის - ხობის მუნიციპალიტეტის რწმუნებულის ბეჭდის გამოყენების წესი“;

დ) დადგენილების დანართის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და განსაზღვრავს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის - ხობის მუნიციპალიტეტის რწმუნებულის (შემდგომში - „რწმუნებული“) მიერ სამსახურებრივი ბეჭდით სარგებლობისა და შენახვის პირობებს.“;

ე) დადგენილების დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რწმუნებულის ბეჭედი წარმოადგენს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ერთ-ერთ ატრიბუტს და გამოიყენება როგორც ამ ტერიტორიული ორგანოს მიერ წარმოებულ საქმისწარმოების პროცესში შექმნილ დოკუმენტებში ასახული ინფორმაციის (მონაცემების) ნამდვილობის დამადასტურებელი დამატებითი რეკვიზიტი.“;

ვ) დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. რწმუნებულის ბეჭდის შენახვის უფლებამოსილების სხვა პასუხისმგებელი პირისთვის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამგებელი რწმუნებულის წინადადებით და იგი გამგებლის ბრძანებით შეიძლება დაეკისროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საჯარო მოსამსახურეს.“;

ზ) დადგენილების დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს დებულებით განსაზღვრული, რწმუნებულის მიერ გასაცემი დოკუმენტი;“;

თ) დადგენილების დანართის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების შემთხვევაში, „სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების, აგრეთვე სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზის ფორმირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 ივლისის N403 ბრძანებულების მე-4 მუხლის შესაბამისად, ბეჭდის ახალი ნიმუში და აღწერილობა, სხვა აუცილებელ ინფორმაციასთან ერთად დაუყოვნებლივ ეცნობება შესაბამის ორგანოს.“.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ჭოხონელიძე



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N6

2012 წლის 7 თებერვალი

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 9 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 9 იანვრის N2 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი, 16.01.2012 წ. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.106.016051) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების“:

- ა) მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„თ) საკონსულტაციო-სამართლებრივი დახმარება გაუწიოს გამგეობის საჯარო მოსამსახურეებს;“;
- ბ) მე-3 მუხლის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„კ) უზრუნველყოს გამგეობის ურთიერთობა სახელმწიფო, ადგილობრივ და კერძო დაწესებულებებთან;
- ლ) შეისწავლოს და გააანალიზოს მუნიციპალიტეტში შემავალ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიულ ორგანოთა მუშაობის საკითხები;“;
- გ) მე-3 მუხლის „შ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„შ) განახორციელოს გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;“;
- დ) მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) უზრუნველყოფს გამგებლის, გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების იურიდიულ კონსულტირებას, სამართლებრივი დასკვნების მომზადებას;“;
- ე) მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) უზრუნველყოფს გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა სამუშაოზე მიღების, სამუშაოდან გათავისუფლების, შვებულებაზე გასვლის, სამივლინებო, საპენსიო და სხვა დოკუმენტების გაფორმებას;“.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ჭოხონელიძე



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N7

2012 წლის 7 თებერვალი

ქ. ხობი

**ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის
დებულების დამტკიცების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის დებულება“ თანახმად დანართისა.
2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ჭოხონელიძე

ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. დებულება განსაზღვრავს ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის (შემდგომში - „სამსახური“) დანიშნულებას, მის ფუნქციებს, ამოცანებს, უფლება-მოვალეობებს და მართვის ორგანიზებას.
2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, გამგეობის დებულების, ამ დებულებისა და აგრეთვე საკრებულოს და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
3. სამსახურის მოსამსახურეთა საშტატო რიცხოვნება განისაზღვრება ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული გამგეობის საშტატო ნუსხით.
4. სამსახურს აქვს ბეჭედი და საკუთარი ბლანკი.
5. სამსახურის ადგილსამყოფელია: ქალაქი ხოზი, ცოტნე დადიანის ქ. N189

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

- ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი, დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის მომზადება და მიწოდება, ამ მიზნით კომპეტენტურ ინსტიტუტებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობა;
- ბ) საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;
